ა) ლაშა საღინაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) კახაბერ ჭეიშვილი - რექტორის მოადგილე (კომისიის წევრი);

გ) გიორგი შამათავა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე (კომისიის წევრი);

დ) შორენა ერისთავი - პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის წევრი);

ე) თამარ დიაკვნიშვილი - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (კომისიის მდივანი);

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე კანდიდატის შესარჩევად შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება
წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ უფროსი სპეციალისტის შერჩევა.
მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:
საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:
ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ უფროსი სპეციალისტის კანდიდატის შერჩევა.
ბ) კომისიას, მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი ექსპერტის /ექსპერტების მოწვევა.
მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.
ა) კომისია დაუსწრებლად აფასებს კონკურსანტის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტები, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც სრულყოფილი იქნება და დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას.
ბ) აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
გ) საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების შედეგებს).
დ) შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და პერსონალის მართვის დეპარტამენტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე შერჩეულად ჩაითვლება, ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.
ე) კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე მომზადდება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი/აქტები და შერჩეულ კანდიდატთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;
მუხლი 4. დავების გადაწყვეტა
კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.